საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

<u>2021 წლის მნიშვნელოვანი მიღწევები/შედეგები:</u>

- **უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო/კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება/განახლება:**

უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარების, არსებული პარტნიორთა ქსელის გაფართოებისა და თანამშრომლობის სფეროების გამრავალფეროვნების მიზნით, დეპარტამენტმა უზრუნველყო ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიება. სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური მიმოწერისა და მოლაპარაკებების საფუძველზე განისაზღვრა ორმხრივი დაინტერესების სფეროები და საბოლოო ჯამში გაფორმდა/განახლდა თანამშრომლობის 15 ხელშეკრულება/მემორანდუმი.

- **საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანება:**

სხვადასხვა საგანმანათლებო საერთაშორისო ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანების მიზნით მომზადდა განაცხადები და 2021 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სრული წევრის სტატუსით გაწევრიანდა ორ უმსხვილეს საერთაშორისო ორგანიზაციაში:

- კომპოსტელას უნივერსიტეტების ჯგუფი (GCU);
- ევრაზიის უნივერსიტეტების კავშირი (EURAS);
- UNICA

- **საერთაშორისო პროექტების მართვა და მის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება**

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა ადმინისტრირება გაუწია ერაზმუს + საერთაშორისო კრედიტ მობილობის 160 პროგრამას და ამასთანავე, ნორვეგიის მთავრობის საგანმანათლებლო ფონდ DIKU-ს მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო პროექტს, ოსლოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

- **გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი კონკურსების ორგანიზება:**

დეპარტამენტმა უზრუნველყო თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი 41 კონკურსის ჩატარება, ერაზმუს პლიუსის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების მისანიჭებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 185-მა სტუდენტმა და 34 პერსონალმა.

- **უცხოელი სტუდენტების თსუ-ში მობილობის კოორდინირება**

დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია 68 უცხოელი სტუდენტის და 18 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის თსუ-ში მობილობას და უზრუნველყო მათი ინტეგრირება პროფილურ ფაკულტეტებზე, კერძოდ: სასწავლო ხელშეკრულებების მომზადება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, საორიენტაციო დღეების და ტრენინგების ორგანიზება, დაბინავების ხელშეწყობა.

- **გრძელვადიანი უცხოელი [native speaker] ლექტორების ჩამოყვანა თსუ-ში**

დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია გრძელვადიანად 7 უცხოელი პედაგოგის ჩამოყვანას თსუ-ში (ესპანური, ბასკური, გერმანული, იტალიური, ჩეხური, უნგრული ენების პედაგოგები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ფრანგი ლექტორი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე) აკადემიური საქმიანობის მიზნით და მათ ინტეგრირებას პროფილურ ფაკულტეტებზე.

- **საზღვარგარეთ განსახორციელებელი საქმიანი ვიზიტების კოორდინირება**

დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალის 14 საქმიანი ვიზიტის განხორციელებას საზღვარგარეთ.

- **უცხოელი სტუმრების მიღება თსუ-ში**

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია 47 უცხოელი სტუმრის საქმიან ვიზიტს თსუ-ში, რაც მიზნად ისახავდა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვას.